ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01211941575**
თარიღი: **13/07/2021**
პინი: **3431**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო
მისამართი: შარტავას ქ. 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 08.07.21 წლის #61-01211891531 (28.07.20 წლის #17-012021075-67) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით პოზიციას, შპს ,,მაგთიკომის,, მოთხოვნის საფუძველზე, ქ. თბილისში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 01.14.14.005.156 და 01.11.13.009.085 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან და 01.11.10.012.007 საკადასტრო ერეულის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ მიწის ნაკვეთების აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე, შემდგომში სატელეკომუნიკაციო სისტემების და მის გვერდზე სააპარატურო კაბინის განთავსების მიზნით.

პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მიწის ნაკვეთებზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის, მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ " ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების თანახმად სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2) წარმოადგენს სარეკრეაციო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ გამწვანებულ ტერიტორიებს: პარკს, ღია სათამაშო მოედნებს და მსგავსი ტიპის სხვა ტერიტორიებს. ამასთან, ამავე დადგენილების, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე,, ქვეპუნქტის შესაბამისად, ყველა ქვეზონაში დასაშვებ სახეობას წარმოადგენს არსებული შენობა-ნაგებობის ფუნქციონირებისათვის ან სხვა საქმიანობისთვის საჭირო დანადგარი ან/და ტექნიკური მოწყობილობა, თუ ის არ ეწინააღმდეგება ამ წესებით დადგენილ ქვეზონის თავისებურებს. შესაბამისად, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთების (5 კვ.მ) განკარგვა, აღნიშნული მიზნობრიობით – სატელეკომუნიკაციო სისტემების და მის გვერდზე სააპარატურო კაბინის მოსაწყობად.

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი